სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/17

ქ. თბილისი

14 თებერვალი 2018

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტებთან „ბიზნესისა და სამართლის ინსტიტუტის“ შექმნის და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, სტუ-ის წესდების მე-8 მუხლის, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ირ გაბისონიას, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. რ. ქუთათელაძის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათების და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №1 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტებთან შეიქმნას „ბიზნესისა და სამართლის ინსტიტუტი“ და დამტკიცდეს მისი დებულება;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დაამტკიცოს აღნიშნული ინსტიტუტი და მისი დებულება;
3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენენ პროფ. ირ. გაბისონია და პროფ. რ. ქუთათელაძე;

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე